ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №131

2013 წლის 14 ნოემბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების 62–ე მუხლის, განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების საბჭოს სხდომის ოქმების ამონაწერების საფუძველზე, აკადემიურმა **საბჭომ**

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სრულ პროფესორ ნოდარ ბარამიძისა და ყოფილი განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორების - მერი ცინცაძისა და ავთანდილ ქემხაძისათვის (რომელთაც შრომითი ხელშეკრულების ვადა გაუვიდათ 2013 წლის 17 სექტემბერს) ემერიტუსის წოდების მინიჭება დადგენილების ხელმოწერის დღიდან;

2. წარმომადგენლობით საბჭოს ეთხოვოს ნოდარ ბარამიძის, მერი ცინცაძისა და ავთანდილ ქემხაძისათვის ბსუ–ს წესდებით განსაზღვრული ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი , პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**